№ 22

შაბათი, 29 იანვარი 1894

1877—1894

# ივერია

№ 22

შაბათი, 29 იანვარი 1894

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

## „ივერია“

გამოდის 1894 წელს

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტ ფ ი ლ ი ს ი,
**„ივერიის“ რედაქციას**
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

საფოსტო ადრესი:

**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

შაბათს, 29 იანვარს
საზაფხულო თეატრში
მომავალ ქართულ დედათა სასწავლებლის სასარგებლოდ
**ქ-ნ პაპაიანის**
მონაწილეობით
საოპერო დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

## მინიონი

ოპერა 4-ს მოქმედებად, მუსიკა ა. ტომისა.
მინიონის როლს შეასრულებს
ქ-ნი პაპაიანისა
იდირიჟორებს ი. ა. ტრუფფი
დასაწყისი საღამოს 8 საათზედ, დასასრული 11 საათზედ. (2—2)

## ტფილისი, 29 იანვარს

გუშინ ჩვენ აღვნიშნეთ გაჭირებული და უნუგეშო მდგომარეობა კახეთის ვენახის პატრონთა და კახურ ღვინის მომყვანთა, რომელთაც სხვა-და-სხვა ჩვენ მიერ დასახელებულ მიზეზთა გამო ხელიდამ გამოეცალათ აქაური ბაზარი და კახურ ღვინოს დღეს იმდენად ნაკლებად ჰყავს მუშტარი, რომ მემამულეთ აღარ იციან, რა უყონ ან თავიათ ვენახებს და ან მშვენიერს კახურს. როგორ ეშველება მაშ საქმეს?

დიაღ, კახეთში ვენახები ბევრია, ღვინო უხვად მოდის. თუ ცდა და შემწეობა იქნება და ამ ვენახების შემუშავება, აგრედვე დაყენება და მოვლა ღვინისა განკარგდება, უკეთესად, უფრო მეტის ცოდნით მოეწყობა, კახურ ღვინოებს არ გაუჭირდებათ თავის რაოდენობითა და ღირსებით რუსეთის ბაზრებში უცხო ქვეყნების ღვინოების მაგიერობა გასწიოს რამდენადმე და მუშტარსაც გული მოუგოს მით, რომ ნამდვილი ყურძნის წვენი იქნება და შიგ არა ერევა-რა. თუ ასეა, ცხადია, მთავრობა არას დაჰკარგავს, უკეთუ იზრუნებს და ხელს შეუწყობს ღვინის მოყვანას კახეთში. ამ ზრუნვით ჯერ ერთი რომ რუსეთს დაეზოგება დიდ-ძალი ფული, რომელსაც ეხლა იხდის სამზღვარ-გარეთის ღვინოებში და მეორეც—ერის ჯან-მრთელობაც ეჭვ-ქვეშ არ იქნება და ქვეყანა თავს დაანებებს იმ შინ და სამზღვარ-გარედ მომზადებულს ღვინოებს, რომელიც სწამლავს და ვნებს ხალხს.

ერთად-ერთი ხსნა კახეთის ვენახების პატრონთა, თუ არ უნდათ სულ უმუშტროდ დარჩნენ, ის, არის, რომ ახალი ბაზარი მოეპოვოს კახურ ღვინოს საქართველოს გარედ, უფრო-კი რუსეთის დიდს ქვეყანაში. რუსეთი სავსეა ისეთის შინ მოხერხებულ, ნაკეთებ და მონათლულ ღვინოებით, რომელშიაც ძალიან ნაკლებად არის საკუთარის ყურძნის წვენი და ხან სულაც არ არის. კახურის ღვინის გატანა რუსეთის ბაზრებში საკეთილოდ შესცვლის დღევანდელს უნუგეშო ყოფას მით, რომ ღვინის მუშტარსაც მისცემს კარგს და მარგებელს სასმელს და ღვინის მწარმოებელსაც ხალისი ექმნება, ბაზარია, საცა მუდამ შეიძლიან გავასაღო, რამდენიც უნდა ღვინო მომივიდესო.

ხოლო იმისთვის, რომ კახური ღვინო გავრცელდეს და საღდებოდეს რუსეთში, საჭიროა ვიქონიოთ სახეში პირველად, რომ კახური ღვინო შეეფერებოდეს ახალ მუშტართა გემოვნებას, მოჰშორდეს სიწკლარტე, რომელსაც ერიდება რუსეთის მუშტარი, ხოლო ყველა სხვა თვისი ღირსება ხელ-უხლებლად შერჩეს; მეორედ, ღვინოს, თავის თვითვეულ და ცალკე ხარისხისამებრ, ერთ გვარი გემო, სურნელება და ფერი ჰქონდეს მარტო იმ თვისებათა შემწეობით, რომელიც ბუნებითვე აქვს; მესამედ, გაძლიერდეს მისი ბუნებრივი ღონე დიდხანს გაძლებისა, რათა არ წახდეს, საუარესოდ არ შეიცვალოს კარგა ხნის განმავლობაში და შეეძლოს ატანა ცოტად თუ ბევრად შორს მანძილზე წაღება და ხანგრძლივად შენახვა, ერთის სიტყვით, შეიგინოს იგი თვისება, რომელიც მას შეჰქმნის ვაჭრობის საიმედო საგნად.

რა-კი კახური ღვინო ბუნებით კარგია, ვენახის მოვლისა და ღვინის დაყენების წესები ახლა ბევრად განკარგებულია ეხლანდელის მეცნიერების მიერ, ეჭვი არ უნდა იყოს, ჩვენის აზრით, რომ მარტო თავის ბუნებურ თვისებათა წყალობით და სწავლა-ცოდნის მიშველებით შემზადდეს, კახური ღვინოები ადვილად დადგება იმ დონეზე, იმ თვისებაზე, რომელიც ზემოდ მოვიხსენეთ და რომელთა წყალობით არის მხოლოდ შესაძლო დღევანდელი ცვალებადი ღვინო მტკიცე და საიმედო სავაჭრო საქონელი შეიქნას, და რუსეთის, თუ გარედ სადმე ბაზარში საკმაო და ღირსეული ადგილი დაიჭიროს. აი კახურ ღვინოების ამ დონეზე დაყენება საფუძვლად დაუდვია ხსენებულ საზოგადოებას, რომელსაც ჰქვიან „Общество Кахетинскихъ Садовладѣльцевъ“. რა გზით და ღონისძიებით განუზრახავთ ამისი მიღწევა და შესრულება, ამაზე შემდეგ მოვილაპარაკებთ.

## ახალი ამბავი

*** ქალაქის მილის წყალისაგან შარშან ქალაქის გამგეობა მოელოდა შემოსავალს 159,500 მან., მაგრამ ქალაქის კასსაში შემოვიდა 160,479 მან. და 60 კაპ. ამის გამო ქალაქის გამგეობა ამ წლის ხარჯთაღრიცხვაში ქალაქის მილის წყლის შემოსავალს მოელის 166,500 მან.

*** ტფილისის პირუტყვთა მფარველ საზოგადოებამ ამ დღეებში პირუტყვთა მზრუნველად ქ. ქუთაისში დაჰნიშნა თავისი წევრი ბ. ო. ჩაჩიბაიო, ეს ამბავი აცნობა კიდეც ქუთაისის გუბერნატორს.

*** ტფილისის პოლიცმეისტერი უბრძანებს პოლიციის ბოქაულებს, აუკრძალეთ მდ. მტკვრის ნაპირას ნაგვის გადაყრა და ყველა ღონისძიება იხმარეთ მდინარის ნაპირების ვასუფთავებისა, რადგანაც დღეები მოთბა და ხოლერის გაჩენის შიშიაო.

*** ამას წინად ჩვენს ქალაქში გზა-კვალი დაებნა ერთს ყმაწვილს, სამის წლისას, არც გვარი იცოდა თავისი და არც სახლი თავისის მშობლებისა. ბ-ნი პოლიცმეისტერი უცხადებს ბოქაულებს, მოსძებნეთ ამ ყმაწვილის მშობლები, ყმაწვილი-კი დროებით გაზ. „ტფილისის ფურცლის“ რედაქციაშია დაბინავებულიო.

*** ბ-ნ ტფილისის პოლიცმეისტრის განკარგულებისა გამო, გუშინდლიდგან, ციციშვილის აღმართზედ დაკრძალულ იქმნა ეტლების მისვლა-მოსვლა, რადგანაც ამ უკანასკნელ დღეებში სითბო დატრიალდა და ამისა გამო ციციშვილის კლდიდგან ცვივა ყინულის დიდი ნაჭრეები და ქვები.

*** ქ. ყაზახის საპატიმროში სახადი გაჩენილა და ამის გამო ტფილისის გუბერნატორის მოადგილემ გუშინ განკარგულება მოახდინა, რომ ტფილისიდგან ყაზახში ტუსაღები აღარ გაიგზავნონ.

*** დღეს, შაბათს, 29 იანვარს, საზაფხულო თეატრში ფრიად საინტერესო წარმოდგენაა დანიშნული მომავალ ქართულ დედათა სასწავლებლის სასარგებლოდ. ქ-ნ პაპაიანის მონაწილეობით საოპერო დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ოთხმოქმედებიანი ოპერა ა. ტომისა «მინიონი», რომელშიაც თვით მინიონის როლს ასრულებს ქ-ნი პაპაიანისა. თვით სიკარგე და ღირსება ოპერისაც რომ აღსანიშნავი არ იყოს და არც ის გარემოება, რომ ჩვენის რუსულ საოპერო სცენის საუკეთესო არტისტი-ქალი ქ-ნი პაპაიანისა იღებს მონაწილეობას, ყოველ ამის

## ფელეტონი

### შენიშვნები

**ახალციხის მაზრის ქართველთა შესახებ.**

მეურნეობა.—ეკონომიური ყოფა-ცხოვრება.—ხასიათი.—ტანისამოსი.—ლაპარაკის კილო.—ზნეობა.—სკოლები.—ზოგიერთა ქორწინების და ნიშნობის ჩვეულებანი.—სახლ-კარის მოწყობილობა.—სახსარი ფულის მოგებისა.

ახალციხის მაზრის ქართველობა მომეტებულად მისდევს ხეხილის გაშენებას; ეს არის მათის ცხოვრების უმთავრესი სახსარი; მისდევენ აგრედვე ხვნა-თესვას და ცოტაოდნად შინაურ პირუტყვის შენახვასაც; ამ ორ უკანასკნელს საგანს ისრე არა აქვს ფეხი გადგმული, როგორც სასურველია. თავდაპირველი მიზეზი ამისა არის სახნავ სათესის და საძოვარ ადგილების სიცოტავე, ნაკლებობა. მართალია, საზოგადოდ რომ თვალი გადავავლოთ, ყველა აქაურს ქართველ სოფლებს უჭირავთ სახნავ-სათესი მიწები, მაგრამ ისრეთ უწყალო და ქვიან-კლდიან ადგილებზეა, რომ იქ მოსავლის მოყვანა მეტად ძნელია. ვისაც სარწყავი მიწები აქვს მათი რიცხვი-კი ისე მცირეა, რომ სათქმელადაც არა ღირს.

ცხვარ-ძროხის გამრავლების სურვილი დიდია ხალხში, მაგრამ, როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, საძოვარ ადგილების ნაკლებულობა ხელს უშლის. თუმცა ეს ასრეა, მაინც ყველა ოჯახში ინახავენ თავიანთ საკმარს 10—15 სულს ცხვარს და 2—4 ძროხამდე, ისე, რომ აქაურს ხალხს მაინც არა აქვს სასყიდელი ყველი, ერბო და ოჯახისთვის საჭირო მატყლი. აქაური ყველი და ერბო თავის სინოყიერით განთქმულია აქეთ მხარეში. ყველი ყოველთვის ფასობს (თუ ვისმე აქვს გასაყიდად) ფუთი 3—4 მ., ერბო-კი 9—10 მ. მატყლისას ჰქსოვენ კარგის ადგილის და საფეიქრო შალებს, რომელიც მეტად გამძლეა საჩოხეთ და სხ.; მატყლის წინდა-პაჭიჭიც კარგი იციან და გამძლე.

ხეხილის ბაღების გაშენებას ხომ ერთგულად და მხნეობით მისდევს ხალხი. ბაღების, ანუ როგორც აქეთ უწოდებენ „ბახჩების“ საქმე მეტად კარგად მიდის. აქაური ხილი განთქმულია, როგორც სიდიდით, ისე გემოთიც და ფერით. ბაღჩებში მოჰყავთ: ვაშლი, მსხალი, ატამი, ალუბალი, ქლიავი სხვა-და-სხვა ჯიშისა, ჰერამი, ჭანჭური წითელი, ჭანჭური თეთრ-ყვითელი, თუთა, კომში და სხვა. ყველა ამაებს კარგა საზრდო მოაქვს მკვიდრთათვის, მაგრამ უფრო კარგი მაშინ იქნებოდა, რომ აქაური ბაღჩები ახალციხის ცრუ-მატყუარა ჩარჩ-ვაჭრების ხელში არ სცვივოდეს. ქართველებს რომ შნო არა აქვსთ თავიანთ ხილის გასაღებისა, ახალციხის ბაყლები ამოდიან სოფლებში ზამთრობითვე და მომავალ მსხმოიარე ბაღჩის პირს ყიდულობენ ნახევარ ფასად. შემოდგომით ვაჭრები ჰკრებენ საზამთროდ შესანახ ვაშლს, „იაშჩიკებში“ აწყობენ, ლურსმნით სჭედენ და დიდ-ძალი ხილი გააქვთ გასასაღებლად რუსეთის გუბერნიებში: ოდესისკენ, ხარკოვისკენ, კერჩისკენ და სხ., კავკავისაკენაც-კი არ აკლებენ გზავნას. ამ ნაირ სიშორეზედ რომ მიაქვთ აქაური ხილი, ადვილად წარმოსადგენია, იქ დიდი ბაზარი უნდა ჰქონდეს და რასაკვირველია, საკმაოდ ჯიბეებს ივსებენ...

ბოსტნეულობასაც აქეთ ძრიელ მისდევენ. მოჰყავთ აუარებელი კართოფილი, ხახვი, საზამთრო, კიტრი, ბოლოკი ჭარხალი და სხვა. აქაური კართოფილი მეტად გემრიელი და ჯიშიანია. საზამთროს თესვა, დიდი ხანი არ არის, რაც შემოიღეს. ამ ბოლო წლებში აქაურმა საზამთრომ და ნესვმა კარგა სახელი გაითქვა,—ახალციხეში თითქმის ადგილობრივი საზამთრო-ნესვის მეტი (სხვა ქვეყნის საზამთრო-ნესვი იშვიათია) არა ისყიდება-რა. ხახვი მეტად მაგარი და ხანგრძლივ შესანახია. კომბოსტოს სიდიდე და სიმაგრე, სადაც-კი სთესავენ, ისეთია, რომ სულ პაწია იწონავს 15 გირ., საშუალო 25 გირ. და სულ დიდი 1 ფ. 5 გირ;—წარსულს წელს სოფელ წ ყ ო რ ძ ა შ ი *) ისრეთი კომბოსტო მოიყვანეს, რომ ორს ერთი კაცი ძლივს ასწევდა. კომბოსტოს ფასი 40 კ. არის ფუთი, კარტოფილი იყიდება 20—25 კაპ., ხახვი 40—50 კაპ.

ფუტკრის შენახვასაც არ ერიდებიან აქეთ, მაგრამ ცხელის ზაფხულის ჰაერი მეტად აბრკოლებს ამ ფრიად სასარგებლო დარგს მეურნეობისას. ვისაც-კი ჰყავს ფუტკარი, ან სხვა გრილ-ჰაერიან სოფელში აბარებს, ანა არა და სადმე ბაღჩის ჩეროში უდგია; ამ უკანასკნელ შემთხვევაში ფუტკარი ისე რიგად არა ჰხარობს.

ხვნა აქეთ „ჯილღით“ იციან და

*) წყორძა თათრების სოფელია დღეს; წინად-კი ამ სოფელში ქართველებს უცხოვრიათ, რაიცა მტკიცდება ორის-სამის ძველის საყდრით, რომელიც აქ არის.

ავტ.

გარეშეც თვით აზრი, საგანი და დანიშნულება წარმოდგენისა იმდენად საყურადღებოა და მნიშვნელოვანი, რომ, რასაკვირველია, დიდძალს ქართველ საზოგადოებას მიიზიდავს. სასურველია, რომ ერთი წარმოდგენა, მომავალ ქართულ დედათა სასწავლებლის სასარგებლოდ, ჩვენმა ქართულმა დრამატიულმა დასმაც გამართოს.

⁂ „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდ 20 დეკემბერს 1892 წ. კლუბში გამართულის კონცერტიდგან შემოვიდა: ბილეთების ფასი 923 მ. 80 კ. და შესაწევარი 18 მ., სულ 941 მ. 80 კ. დაიხარჯა: 1, კლუბის ქირა 81 მ., 2, გასამრჯელო არტისტებს: ქ-ნს ძნელაძისას და ბ ნთ მესხს და ჩაბანს, ოც-და-ხუთ-ხუთი მანეთი თითოს, 75 მ., 3, როიალის ქირა 25 მ., 4, საზანდრისა 20 მ., 5, გამოსაცხადებელი 17 მ. 68 კ., 6, მარკები 51 მ., 7, სხვა-და-სხვა ხარჯი 49 მ. 65 კ., სულ 319 მ. 33 კ. წმინდა შემოსავალი დარჩა 622 მ. 47 კ.

„წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ მოვალეობად სთვლის გამოუცხადოს უღრმესი მადლობა კონცერტში მონაწილეობის მიღებისათვის: ქ-ნთ ძნელაძისას, უნტილოვისას და პლატონოვისას—და ბ-ნთ მაქსიმოვს, ვასილიევს, სარაჯევს, პრესმანს, ჩაბანს, მესხსს, ერისთავს, აბაშიძეს და დიასამიძეს..

⁂ 29 იანვარს, საღამოს 8 საათზედ, ტფილისის ოლქის სასამართლოს დარბაზში დანიშნულია კრება კავკასიის იურიდიულ საზოგადოებისა. კრება, საადმინისტრაციო საგნების განხილვის გარდა, მოისმენს იმ მოხსენებას მ. ო. გრუზენბერგისას, რომელიც ამას წინად აღვნიშნეთ ჩვენს გაზეთში და იმ კომისიის მოხსენებას, რომელიც არჩეულ იქმნა კავკასიის მომრიგებელ სამოსამართლო პრაქტიკაში შეხვედრილ ზოგიერთ საგნების შესახებ.

კრებაზედ არა წევრთაც შეუძლიანთ დაესწრნენ.

⁂ ჩვენ მივიღეთ სიღნაღიდამ კნ. ნ. ანდრონიკაშვილის მიერ შეგროვებული 39 მან. შოთა რუსთაველის ძეგლის ფონდისათვის. ამ ფულისა გვქონდა დღემდე 725 მან. და 82 კაპ. შესდგა 764 მან. 82 კაპ.

⁂ 27 იანვარს, რკინის გზის სადგურ ქურდამირიდგან მომავალი საქონლის მატარებელი დაეჯახა პატარა მუშა ვაგონს, რომელზედაც გზის მუშები ისხდნენ და მუშებივე ხელით მიაგორებდნენ. მუშებმა გადმოხტომა ძოასწრეს და მხოლოდ ვაგონი დაიმსხვრა.

⁂ ქუთაისი: 25 იანვარს გამართული იყო აქ აქაურს სომეხთა სკოლაში ქართული წარმოდგენა. წარმოადგინეს „ბაიყუში“, კომედია-ხუმრობა ორ მოქმედებად და ერთი სომხური ერთ-მოქმედებიანი ვოდევილი, სომეხთა ღარიბ სტუდენტების სასარგებლოდ. მონაწილეობას იღებდნენ ქართველნი და სომეხნი, კაცნი და ქალნი. თითო-ოროლამ თავიც-კი იჩინა კარგის თამაშობით ამ სცენის მოყვარულთ წარმოდგენაში, რომელსაც საკმაოდ ბლომად დაესწრო ხალხი, როგორც სომხობა, ისე ქართველობა. სომხობა უფრო ნასიამოვნები დარჩა, რადგან აქ სომხური წარმოდგენები ან სულ არ იმართება, ან ძალიან იშვიათი ამბავია.

⁂ იქიდამვე: აქეთ ამ ჟამად ძალიან გახშირებული წვიმებია. სოფლის ხალხი ნაკლებად შემოდის ქალაქში და ნაკლებადვე შემოაქვს სხვა-და-სხვა ნუზლ-სურსათი და სანოვაგე. ამის გამო ყოველივე ესე მეტად ძვირად ისყიდება და ძნელი საშოვარიც გახდა. ინფლუენცა ძალიან გავრცელებულია აქ, რამდენიმე წუთი-სოფელსაც გამოასალმა. ინფლუენცას უფულენციაც მოჰყვა, რასაკვირველია, რადგან აქაურ მკურნალ-ფერშლებს და აფთიაქის პატრონებს მოსვენება არა აქვთ დღე და ღამე და სავიზიტო ფულსაც ბლომად აგროვებენ.

## დამაკვირდი

—

სისულელე რომ სატკივარი იყოს, რა სასო წარკვეთილი ძახილი გაისმოდა ამა ქვეყნის ყოველ სახლიდგან.

ლოგო

**

სიმდიდრე ზღვის წყალს ჰგავს, რომელიც მით უფრო აძლიერებს წყურვილს რამდენსაცა სვამ.

შოპენ ჰაუერი

**

ცრემლი სისხლია სულისა.

დეკურსელი

## ნაწყვეტი

—

ზეციერად მზე ბრწინვალებს,
ქვეყნიერად ჩვენი ერი,—
გრძნობა-ფიქრით ცათა სწორი
და ჭკვით მაღალ ნიჭიერი,
მაგრამ უქმი, უთავბოლო,
მფლანგავი, არ-ზომიერი,
მტრის მოყვარე, მოყვრის მტერი,
უგროშ-ფულო და მშიერი.

—

მზეო ნუსტანჯავ მიჯნურსა:
ამოდი, მთვარე გელისო,
ია ვარდს ჰკოცნის, ეხვევა,
ბულბული ტკბილად მღერისო,
მწყემსი სალამურს ატირებს,
რუსთველის ჩანგი ჟღერისო,
მთვარე-კი, მზეო, იწვება,
კურნებას შენგან ელისო,

—

სულ-მოკლობა კაცს არ ჰშვენის,
საქმე წარხდება ვიშითა,
ლომი იყავ ჭირსა შიგან,
შენ მოკალ ჭირი შიშითა;
გული ჰქვას დაუმორჩილე,
იტყოდე ბრძენის რიხითა:
მეც მოვკვდები დღეს თუ ხვალე,
მეც დამფარავენ მიწითა!..

## წერილი განჯის სადგურიდგან.

ამ წლის პირველ იანვრიდგან განჯის სადგურზე ბ-ნ ი. გლადკოვის მეცადინეობით დაარსებულ იქმნა ჟურნალ გაზეთების საკითხავი კაბინეტი; აქ აქნამდინაც იყო და ახლაც არსებობს დეპოს წიგნთ-საცავი. მაგრამ ის, გარდა დეპოს მოხელეებისა ვერ აკმაყოფილებდა განჯის სადგურის საზოგადოებას; განსაკუთრებით-კი აქაური კანდუქტორობა, თითო-ოროლას გარდა მოკლებულნი იყვნენ ყოველ გვარ ჭკუა-გონების საზრდოსა და სავარჯიშებელს და იძულებულნი ხდებოდენ თავისუფალი დრო გაეტარებინათ დუქან რესტორანებში ბილიარდ-ლოტო ბანქოს თამაშობასა და „ყანწით ვსვამ ღვინოს...“ მღერაში. აი ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება აქაურ სადგურის უმფროსის თანაშემწემ ივანე გრ—ძემ გლადკოვმა და გამართა ხელის მოწერა, რომელსაც დიდის სიამოვნებით მიეგებნენ აქაურები (განსაკუთრებით ქართველობა) და კიდეც შეგროვდა ორასი მანეთი, ამას წინად-კი თქვენს გაზეთში მოხსენებული იყო სამასი მანეთი შეგროვდაო; არ ვიცი მომწერმა საიდგან დაუმატო ასი მან. იქნება სურს თავის ჯიბიდგან შესწიროს ამ კეთილ საქმეს; ღმერთმა ქნას.

ამ საქმეს კეთილის თვალით შეჰხედეს აქაურმა უფროსებმაც და შემწეობაც აღუთქვეს. შეგროვილ ფულით დაკვეთილ იქმნა სულ ყველა ქართული ჟურნალ-გაზეთები, გარდა გაზეთ „მეურნესი“ რომლის არსებობა არც-კი ვიცით, რადგანაც განცხადებას გაზეთისას არსად არ შევხვედრივართ; ერთი სომხური გაზეთი „მშაკი“ (უნდა მოგახსენოთ რომ აქ სომხები ცოტანი არიან) და ოცდა ოთხი რუსული ჟურნალ-გაზეთი. საკითხავი კაბინეტი მოთავსებულია სადგურისავე შენობის ერთ შესაფერად მორთულ ოთახში.

სწორედ სასიამოვნო სურათს ნახამთ იქ რომ შებძანდეთ: დუქანში ბილიარდ-ლოტო-ბანქოს თამაშობის მაგივრად, ახლა აქ მოუყრია თავი ახალ გაზდობას: ერთი „ივერიას“ ჰკითხულობს, მეორე „კვალს“.. მესამე „მოამბეს“, „ჯეჯილს“, „მწყემსს“ და სხვ...

სამკითხველოს ჯერ ჯერობით წიგნები არ მოეპოვება, მაგრამ, იმედია, მალე ამ ნაკლულევანებასაც თავიდგან აიცილებს; ბევრნი აცხადებენ სურვილს, წიგნებით და ფულით შემწეობა გვინდა აღმოვუჩინონთ ამ ნორჩ სამკითხველოსაო.

სამკითხველო იქნება ღია დილის რვა საათიდგან ღამის პირველ საათამდე და ამას-კი დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც სამსახურში გამოწვეულ მოხელეებს ხშირად რამდენისამე საათობით უხდებათ სადგურზე გაჩერება, რაღა თქმა უნდა, სამკითხველოს მუდამ ეყოლება მკითხველები. ღმერთმა ჰქნას, რომ ამ კეთილ საქმეს გზაზე არაფერი გადაჰღობებოდეს და შესამჩნევად აყვავებულიყოს.

ორიოდე სიტყვა კიდევ აქაურ დეპოს წიგნთ-საცავზე: ამ წიგნთ-საცავს, თუმცა წიგნები საკმაოდ მოეპოვება, მაგრამ, სამაგიეროდ, წრეულს ვერც ერთის გაზეთის ღირსი ვერ გახდა. კითხვისთვის დაწესებული გარდასახადი უმეტეს ნაწილს მონაწილეებისას არ გადაუხდია. მერმე იცით, ვინ არიან ეს მონაწილეები?—ესენი გახლავან მემაშინეები, რომლებიც თვეში იღებენ ათიდგან ხუთმეტ თუმნამდე ჯამაგირს და თითო წლობით. წიგნთ-საცავის ფული გადაუხდელი აქვთ. აი ამიტომ გასაკვირველია, რომ კანდუქტორებმა, რომლებიც იღებენ 15—20 მანნეთს თვეში და რაღაც ერთის კვირის განმავლობაში-კი ორასი მანეთი შეაგროვეს, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ: თუ გული გულობსო... და სხ...

ახლა-კი იმედია დეპოს წიგნთ-საცავიც სასურველ ნიადაგზე დადგება, რადგანაც ამას მიაქცია ყურადღება დეპოს უფროსმა და გულ-მოდგინედ შეუდგა წიგნთ-საცავის გაუმჯობესობის საქმეს. ჩვენის აზრით-კი, არ იქნებოდა ურიგო ორივე სამკითხველო ერთად შეერთებულიყო. პირველია მდიდარი ჟურნალ-გაზეთებით და მხნე ახალ გაზდა მონაწილებით, მეორე-კი წიგნებით და ერთად რომ შეერთდეს, სასურველი წიგნთ-საცავი და სამკითხველო იქმნება.

დასასრულ, არ შეგვიძლიან მადლობით არ მოვიხსენიოთ მოთავე ამ საქმისა ბ-ნი გლადკოვი, რომელიც იმედია შემდეგშიაც არ მოაკლებს ამ სასარგებლო დაწესებულებას თავის ყურადღებას.

27 იანვრი ს. დ.

ს. განჯა

## მცირე შენიშვნა

ბატონის ი. ფ—ძეს ფელეტონზედ ივერია № 282.

თუმცა დიდად საყურადღებოა, ბ-ნ ი. ფ—ძეს აზრი, სალიტერატურო ფონდის შესახებ, მხოლოდ საზოგადო აზრს-კი არ უნდა ეთანხმებოდეს. იმას მეც ვერ ვიტყვი, რომ უფრო საჭირო არ იყოს დღეს ჩვენთვის სალიტერატურო ფონდი, ძრიელ საჭიროა და დიდი სარგებლო-

---

არა გუთნით; ეს იმიტომ რომ, როგორც ცხელის ადგილის ნიადაგი, მიწები აქეთ ხრიოკი და სუბუქია. „ჯილღა“, შეიძლება ვსთქვათ, ნახევარ გუთანსა ჰგავს, ე. ი. გუთანს ფრთები რომ მოვაშოროთ და ორ სახელურის მაგიერ ერთი გაუკეთოთ, სწორედ გამოვა აქაური „ჯილღა“. „ჯილღა“ გუთანს არ ჩამორჩება და მასშიაც ხუთ-ექვსს უღელს ხარს აბმენ.

პურის მცენარეთა შორის მოჰყავთ: საშემოდგომო დოლის პური, საგაზაფხულო ქერი, დიკა, „თოფ-ბაში“ (მსხვილ-მარცვლოვანი და თეთრი დიკა), სიმინდი, უგრეხელი, ოსპი და ფეტვი: ყველა ესეები მიწის რაოდენობის სიმცირის გამო ცოტა მოდის და ნახევარ ზამთარს ძლივსა ჰყოფნის ხალხს. ამიტომაც არის, რომ გლეხმა პურის ნაკლებულობა უნდა შეისრულოს, ბაღჩის და ბოსტნის მოსავლიდგან.

ლობიოს მოყვანასაც უყურადღებოდ არა სტოვებენ. სიმინდებში იმდენი ლობიო მოჰყავთ, რომ თვითონაც ჰყოფნით და ჰყიდიან კიდევაც. ამის ფასია ყოველ წელს 1 მანეთიდგან 1 მ.—50 კ.-მდე, სულ მდიდარის ოჯახის შესაბამი საქონელია სამი-ოთხი უღელი ხარი. სამეურნეო იარაღებია: „ღორ-ურემა *)“, „ყარა-ბუღა“—ურემს (პაწია ორ ღირღიტიანი ურემია), სახნავი „ჯილღა“, კევრები და სხ.

შინაურ ფრინველების მოშენებასაც ერთგულად მისდევენ. ზრდიან: ქათმებს, ბატებს, ინდოურებს და იხვებს. ზოგიერთ სოფლებში იმდენი ინდაური და ბატი იზრდება, რომ ნახევარი ხალხი საზამთროდ დაყაურმებულ და გამხმარ მათის ჩაჩხით იკვებება და იმოდენა ბატის ბუმბული უდგებათ, რომ მათი ლოშაკ-ლეიბები და ბალიშები განსაკუთრებით ბუმბულისა და ბატის გერმისაა.

ხალხი მეტად დამზოგველია და თითქმის კრიჟანგი. ისე აქვთ სახლები მოწყობილი, რომ უცხო სტუმრის მიღება თითქმის შეუძლებელია. ეს ასრე იმიტომ უქკუებიათ, რომ სტუმარმა არ მისცეს შეწუხება. სტუმრის მიღებას, მისს პატივის-ცემას და გამასპინძლებას ძრიელ ერიდებიან. რაგინდ ძვირფასი მოყვარე მიუვიდეს აქაურს კაცს, იგივე სანოვაგე უნდა მიართვას, რაც ოჯახისათვისაც ჰქონდა მომზადებული. სტუმრისთვის ახალციხის მაზრის ხალხი უსასმლობაზედ არ შესწუხდება, ბოდიშს მოიხდის: ,,არცა ვხდით, გენაცვალე, და არც ჩვეულობად გვაქვს ბაზრიდგან სასმლის ყიდვაო“. აქაურმა ქართველებმა სიკრიჟანგისაგამო ძვირ-ფასის ტანთ-საცმელის, იარაღის და სხ. ტარება არ იციან. იქამდე გაუტაცნია ფულის სიხარბეს ხალხი, რომ ხსნილშიაც კართოფილით იკვებება, თუმცა-კი სახსნილოც მრავალი აქვს. ერთის ქათმის დახარჯვა და სამი-ოთხი კვერცხის გატეხა მეტად სამძიმოდ მიაჩნიათ. მთავრობის კაცი რომ ესტუმროთ, ისრე შესწუხდებიან, თითქო მთლად უნდა დაირბნენ მისის სტუმრობითაო. მათი შეწუხება უნდა იყოს ორი მუჭა ქერი, ხუთი კვერცხი, ორი ლუკმა ყველი და ორი პური... სხვა ქვეყნებში, როგორც მაგალითად: ჯავახეთში, ქართლში, კახეთში, იმერეთში, სასახელოდ მიაჩნია იმ ოჯახს, რომელსაც მთავრობის კაცი, ან ბოქაული, ან მაზრის უფროსი, ან ბლაღოჩინი და სხვა ვინმე ეწვევა; მეზობლებს კიდეც შეშურდებათ ხოლმე—რატომ ჩემს ოჯახში არ მოვიდა, განა მე იმაზედ ნაკლებად გაუმასპინძლდებოდიო? აქ-კი, როდესაც სოფელს ვინმე ესტუმრება, აქეთ-იქით იმალებიან, რა არის, არა დაგვეხარჯოს-რაო. აქაური ქართველი ქალაქს, ან ბაზარში რომ წავიდეს ისე მოივლის მთელს დღეს, რომ ლუკმა პურს არ შესჭამს ერთ წვეთს არაყს და ღვინოს, პირში არ ჩაუშვებს. ბაზარში წაღებულის და გასყიდულის ფასს ისრე ამოიტანს სახლში, რომ კაპეიკს არ მოაკლებს. ვისმეს რომ ფული სჭიროდეს და მოსთხოვოს აქაურს, მასესხე ორი-სამი მანეთიო, ფულის პატრონი უპასუხებს: არა, ყარდაშ—ძმაო—ვერ გავსტეხამ, თუმნიანი მაქვს, დამეხარჯება ნაშლად, თუ გინდა თუმანი ერთიანად წაიღეო... საზოგადოდ აქაური ხალხი გამოჩენით არ სცხოვრობს. ეს იმიტომ, რომ ხალხში ხმა არ გაუვარდეს შეძლების და სტუმრიანობა მოიშოროს თავიდგან. სახლკარის სიბინძურე სიდაბლე, სივიწროვე და ყოველ, ავეჯულობის მოწყობა გვიმტკიცებს აქაურ ქართველების ილღიანს ცხოვრებას. ყოველივე ესე სიღარიბეს სრულიად არ მიეწერება. ყველას ფული აქვს და ფულიანებსაც ეძახიან. სოფლებში ისეთი კაცი ძვირია, რომელსაც ფული გასესხებული არა ჰქონდეს. ღვთის წინაშე ფული აქეთ იაფია; ხალხი ერთი ერთმანეთშივე იმართავს ხელს სულ მცირე სარგებლით (დაისიც უბარათოდ) და მყლაპავი ვაჭრების მსხვერპლად არა ხდება.

*) „ღორ-ურემა“—დიდი საძნე ურემია, რომელსაც წინა ნაწილი ღორისავით მიწაზედ აქვს დადებული; ესეთი ურემი არ დაქანდება თავქვეებში,—აღმართებში ძნელი სატარებელია და ხარ-კამეჩს დიდს ძალას სთხოვს.

ავტ.

ბაც შეუძლია მოუტანოს ჩვენს სუსტს ლიტერატურას, მაგრამ ეს-კი უეჭველია, რომ საზოგადოებაში მოგროვილი ფული, მხოლოდ იმ დანიშნულებას მოხმარდეს რისთვისაც მოგროვდა. არასოდეს არ იქნება სასიამოვნო შემწირველთათვის, რომ სხვა საგანს მოხმარდეს სხვა საგნისათვის მოგროვილი ფული. ამ ნაირი მოქმედება უეჭველად დაუნდობლობას გამოიწვევს ხალხის გულში და შემდეგ ცივად მოეკიდებიან ამ გვარ საქმეებს და თანაც მოთავე პირების წინააღმდეგიც გახდებიან. ამისათვის უმჯობესი უნდა იქნეს, რომ, რისთვისაც შესწირა ხალხმა ფული მასვე მოხმარდეს, თუ შესაძლებელია. სალიტერატურო ფონდისთვის ფული მაინც გროვდება, ბ-ნმა ი. ფ—ძემ კარგად უნდა იცოდეს, როცა ვინმე კისრულობს ფულების შეგროვებას, ის ყოველთვის უცხადებს ხალხს თავის აზრს არა მარტო ერთი საგნისთვის არამედ ყველა დაწესებულების შესხებ: მაგ. შოთა რუსთველის ძეგლისთვის, სალიტერატურო ფონდისთვის, „წერა-კითხვის საზოგადოებისთვის,“ „წიგნების გამოცემის საზოგადო ამხანაგობისთვის“ და სხ. და სხ. და ვისაც რისთვის, სურს იმას სწირავს ხოლმე და ეს ვგონებ ასეც უნდა იქნეს. დასასრულ ამას ვიტყი, რომ, რაც შოთას ძეგლისთვის მოგროვილა მისთვისვე უნდა იქნეს. სალიტერატურო ფონდისთვის, როგორც არის დაწყებული ისევე უნდა განიგრძოს და ყველა მოღვაწენი უნდა ეცადონ—ჩააზვედროს ხალხს, რა მნიშვნელობაცა აქვს სალიტერატურო ფონდს და ამ რიგად ეს სანატრელი საქმე კეთილ საფუძველზედ დაადგეს, ასე რომ ხალხიც კმაყოფილი იქნეს და საქმეც წინ წავიდეს.

მდაბიო ხალხს, როცა ეუბნები სალიტერატურო ფონდის შესახებ, არ ესმის რას ქვია ლიტერატურა და არც გული მისწევს შესწიროს რამე, ხოლო შოთა რუსთველი ყველამ იცის და დიდის კმაყოფილებით სწირავენ, რაც შეუძლიანთ. ყოველ შემთხვევაში, იმის ნება არავის არა აქვს, რომ ხალხის სურვილის წინააღმდეგ განაწესოს ხალხის შეწირულება, მისის აზრით და შეხედულობით, რაგინდ უკეთესიც იყოს ეს განწესება.

თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელებით იჭმებაო, ნათქვამია. სალიტერატურო ფონდისთვის, უფრო მაღალი და მიმხვდარი საზოგადოება ეცადოს და შესწიროს ფული და მდაბიო ხალხს-კი, მივცეთ ნება თავის გულის წადილისამებრ მოიქცეს.

იასე რაჭველი

## წერილები რედაქციის მიმართ

—

I

გიგზავნით ჩვენის პოეტის რუსთაველის მეგლის ფონდისათვის შეგრებილს ფულს ქ. სიღნაღში და დაჰბეჭდოთ შემომწირველთა სახელი და გვარი თქვენს პატივცემულ გაზეთში.

აი სია შემომწირველთა.

კნ. ელენე აბხაზისამ 2 მ., თავ. ლევან აბხაზმა 3 მ., კნ. ნინო ანდრონიკოვისამ 1 მ., კნ. ქეთევან ჩოლაყაშვილისამ 1 მ., კნ. დარია ვაჩნაძისამ 1 მ., კნ. ანნა ვაჩნაძისამ 1 მ., თ. ივანე რევაზის ძემ ვაჩნაძემ 1 მ. 40 კ., თ. ნიკო ვაჩნაძემ 1 მ., თ. კონსტანტინე ვაჩნაძემ 1 მ., თ. დავით ჩოლაყაშვილმა 1 მ., კნ. ანეტა ანდრონიკოვისამ 1 მ., ნინო ნაცვალოვისამ 2 მ., აბრამ ნასიძემ 2 მ., სოლომონ სტეფანეს ძემ მესედიშვილმა 3 მ., დეკანოზმა ბეგიევმა 1 მ., ეკატერინე ასათიანისამ 1 მ., ალადაშვილმა 1 მ., ბაბო ნაცვალოვისამ 1 მ., თადეოზ ნაცვალოვმა 1 მ., შაქრო ნაცვალოვმა 1 მ., ვანო ნაცვალოვმა 1 მ,, ნიკო. ონანოვმა 1 მ., ნინო გომელაურისამ 40 კ., ვანო ვაჩნაძემ 1 მ., ნატალია ნასიძისამ 50 კ., მაკრინე ნასიძისამ 40 კ., ანეტა ნასიძისამ 40 კ., თამარა გედევანოვისამ 20 კ., ელისაბედ რეზნიკოვისამ 20 კ., ევა ნასიძისამ 50 კ., ნიკო ზალდასტანოვმა 60 კ., მიხეილ ბენაშვილმა 20 კ., ვასო ჭრელაშვილმა 50 კ., ზალიკო მჭედლიშვილმა 15 კ., სოლომონ ნასიძემ 45 კ., ანეტა ნასიძისამ 40 კ., დარო ნასიძისამ 30 კ., ნინო ნასიძისამ 20 კ., მარიამ ნასიძისამ 40 კ., სანდრო გომელაურმა 40 კ., ელისაბედ ნასიძისამ 20 კ., ქეთევან მესტიევისამ 20 კ., დარია კავრიევისამ 40 კ., თამარა კავრიევისამ 60 კ., კნ. საშა ვაჩნაძისამ 40 კ., მაქსიმე კახიძემ 40 კ., სულ 39 მან.

კნიაჟნა ნინო ანდრონიკაშვილის ასული

II

მოწყალეო ხელმწიფევ ბ-ნო რედაქტორო!

რადგან ამ წლის 8 თებერვალს სამოც-და-თხუთმეტი წელი სრულდება ს.-პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის დაარსებიდგან, ტფილისში მცხოვრებ ამ უნივერსიტეტში სტუდენტებად ნამყოფთა შორის დაიბადა აზრი შეიკრიბნენ ამ დღეს საამხანაგო წრედ, საერთო სადილზედ გაუზიარონ ერთმანეთს ხსოვნა სტუდენტის ყოფნის დროს და აღმზრდელ უნივერსიტეტის შესახებ და უსურვონ მას აღყვავება და აღორძინება რუსეთის მეცნიერების სასახელოდ.

ვიკისრეთ რა ჩვენ, ამხანაგთა მონდობილობით, მოვალეობა განკარგულებისა, გვაქვს პატივი გთხოვოთ, ბ-ნო რედაქტორო, თქვენს გაზეთში დაგვიბეჭდოდ ეს წერილი, რომლითაც მივმართავთ ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტებად ნამყოფთ, როგორც სწავლა-დამთავრებულთ, ისე დაუმთავრებელთ, და მოვიწვევთ მონაწილეობა მიიღონ განზრახულს სადილში.

ამასთან დიდად სასურველი იქნებოდა, რომ სხვა უნივერსიტეტთა სტუდენტებად ნამყოფნიც შემოუერთდნენ ამ საერთო დღესასწაულს.

ა. ფრენკელი (1862 წ.)
ი. მილიუტინი (1879 წ.)
ვ. ბოგოსლოვსკი (1883 წ.)

## უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** პარლამენტის სამხედრო კომისიის თავმჯდომარეს, ცნობილის დეპუტატის მოზიერის სიტყვამ იმის შესახებ, რომ საფრანგეთის ჯარი უნდა გამრავლებულ იქმნასო, დიდი მოქმედება იქონია არა მარტო კომისიის წევრებზედ, რომელნიც დიდის სიამოვნებით დაეხმარებიან თავის თავმჯდომარეს ამ საქმეში, არამედ საზოგადოებასა და ჟურნალ-გაზეთებზედაც. საზოგადოდ გაზეთები იმ აზრისანი არიან, რომ მოზიერი მართალს ამბობს და მაგ მხრივ შველა უნდა საქმესაო. გაზეთების აზრით, რიცხვი ჯარისა უეჭველად უნდა მომატებულ იქმნას, ხოლო ამისი აღსრულება მაშინ შეიძლება, თუ ვადა სამსახურისა შემცირებულ იქმნა მშვიდობიანობის დროს ორ წლამდე და, ძალიან გაჭირვებაში, ერთს წლამდისაც-კი. ასე მოქცევა საფრანგეთს იძულებულს ჰყოფს გერმანია, რომელიც 1880 წელს სამხედრო საქმეთათვის ჰხარჯავდა 452 მილიონ მარკას, ხოლო წარსულს წელს-კი დაჰხარჯა 716 მილიონი მარკა. უკანასკნელ სამხედრო კანონის წყალობით, გერმანიის ჯარის რიცხვი მშვიდობიანობის დროს 80,000 კაცამდეა მომატებული, რის გამოც იგი აღემატება საფრანგეთის ჯარს 130,000 კაცით. თუ ამას ისიც დაუმატეთ, რომ საფრანგეთის ჯარის 50,000 კაცამდე ყოველთვის ალჟირსა, ტუნისსა და ინდო-ჩინეთში უნდა იყოს, მაშინ აღმოჩნდება, რომ გერმანიის ჯარი საფრანგეთისას 180,000 კაცითა სჭარბობს. ამის მიზეზი ის არის, რომ საფრანგეთის ჯარის ყოველს რაზმში 60 კაცია, გერმანიისაში-კი ერთი-ორად მეტი. საფრანგეთისათვის დიდად საჭიროა, რომ რიცხვი მშვიდობიანობის დროის ჯარისა გამრავლდეს 150,000 კაცით, რის გამოც სამხედრო სამინისტროს ხარჯი წელიწადში 150 მილიონ ფრანკით იმატებსო.

—

**გერმანია.** ბერლინელი გაზეთი «Volk»-ი შემდეგს საყურადღებო ამბავს იუწყება და ამ ამბის სიმართლესაც ეჭვს გარეშე აყენებს: „21 იანვარს, როდესაც იმპერატორს დაბადების დღე მიულოცა სამხედრო მინისტრმა ბრონსარ-ფონშელლენდორმა, სხვათა შორის, უთხრა მის უდიდებულესობას, რომ მილოცვასთან ერთად ჯარი ჩემის პირით მადლობას გითვლით თავად ბისმარკთან შერიგებისათვისაო. იმპერატორმა სამხედრო მინისტრს გაოცებით შეჰხედა და ჰკითა: „ჯარი მითვლისო?“ გენერალმა განუცხადა, რომ მე მაქვს შეძლება მოგახსენოთ ესე ჯარის სახელით და, აღძრული იმავე გრძნობით, რა გრძნობითაც აღსავსეა ამ ჟამად თქვენი ჯარი, თქვენის უდიდებულესობის ხელს ვეამბოროო.

—

ფრიდრიხსრუედგან დეპეშით აუწყებენ ბერლინში, რომ აქ რკინის გზის სადგურს ბაირაღებითა და ყვავილებით ამკობენ, რადგან ამ დღეებში მოელიან იმპერატორის მოსვლასაო.

—

**ბოლგარია.** ბოლგარიის მთავარის ფერდინანდის მეუღლეს ამ რამდენისამე დღის წინად ვაჟიშვილი მიეცა. ეხლა გაზეთები იუწყებიან, რომ ახლად დაბადებულს მორისი დაარქვეს და სოფიაში ხმა დადის, რომ მართლ-მადიდებელ სარწმუნოების წესით იქნება მონათლულიო. ეს ხმა იმაზედ არის დამყარებული, რომ ეგზარხოსის განკარგულებით ყოველს ეკკლესიაში სამადლობელი პარაკლისი იქმნა გარდახდილი ბოლგარიის ტახტის მემკვიდრე პრინცის დაბადებისა გამო. აქავე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ბერლინის ოფიციოზური გაზეთი „Norddeutsche Zeitung“-ი ნათლად აგებინებს პრინცს ფერდინანდს, შენი შვილი უეჭველად მართლ-მადიდებელ სარწმუნოებისა უნდა იყოსო.

## გასართობი

—

ვარსკვლავთ-მრიცხველმა იწინასწარმეტყველა ერთის ქალის შესახებ, რომელიც მეფე ლუი IX ძალიან უყვარდა, რომ ერთის კვირის შემდეგ გარდაიცვლებაო. ეს ქალი მართლაც გარდაიცვალა. მეფემ ვასკვლავთ-მრიცხველი დაიბარა და სასტიკი ბრძანება გასცა მოსამსახურეებს, განიშნოთ თუ არა, სტაცეთ ხელი და მოაკვდინეთო. როდესაც ვარსკვლავთ მრიცხველი მოვიდა, მეფემ ჰკითხა:

— სხვისის ბედ-იღბლის ცოდნას რომ ქადულობ შენს შესახებ რაღას იტყვი, როდის გიწერია სიკვდილი?

— მე, თქვენო უდიდებულესობავ, თქვენზედ ადრე მხოლოდ სამის დღის წინად დავლევ სულსაო, უპასუხა სიტყვა მოსწრებულმა ვარსკვლავთ-მრიცხველმა

მეფემ ამ პასუხის შემდეგ არა თუ არ ანიშნა იმისი დაჭერა, პირ-იქით, მას შემდეგ განსაკუთრებულს ზრუნვას იჩენდა იმისთვის და ყოველს გაჭირვებაში ეხმარებოდა.

**

— შენ სულ სხვა გახდი, მაგისთანა ჯვარის-წერამდე არ იყავი რა დაგემართაო, ეუბნებოდა საყვედურით ყმაწვილი კაცი თავის ახალგაზდა მეუღლეს: ჯერ სამი თვე არ არის, რაც ჯვარი დავიწერეთ, ეხლავე მოგწყინდა ჩემთან ყოფნა და მერე რაღა იქნებაო.

— რა ვქნა, სულიკო, აკი ჯვარ-წერამდე გითხარ, რომ მარტოობა ძალიან მძულს მეთქი და რადგან ქმარი და ცოლი ერთს არსებას შეადგენენ, აშკარაა რომ მარტოდ დარჩენილს სიცოცხლის ხალისი არ მექნებაო.

**

— საშინელი სურდო მჭირსო, ამბობდა ერთი კაცი.

---

ხალხის ასეთის ცხოვრების მიზეზი არის უსწავლელობა. სწავლამ რომ აქეთ ფეხი გაიდგას, უეჭველია, სუფთად, სტუმარ მოყვარეობით, ზომიერის გულუხვობით იცხოვრებს მაშინ, უეჭველია, სიწუწურაქეში არ შევლენ და ყოველ კეთილ საქმეს სიხარულით და გულადად მიეგებებიან. ჯერ იქამდე გამოურკვეველია ხალხი, ჯერ ისეთი წუწურაქია, რომ ან სკოლის, ან ხიდების, ან ეკკლესიების გაკეთება-განახლება გაუხსენო, მაშინვე ამას მიიღებ პასუხად: „ჩვენ სადა გვაქვს მაგის დავიდარაბის და ხარჯების თავი, რომ ყოველთვის მაგას ჩამოუდგეთ; ყველა ჩვენ სატანჯველად და შესაწუხებლად კეთდებაო.“ ყოველისავე კაპეიკის გამოღება კეთილს საქმეზედ დიდს შემავიწროებელს საქმეთ მიაჩნიათ... იმოდენად ხელ-მაგარია ხალხი, რომ ერთი ურემი შეშა მთელს ყინვიან ზამთარს უნდა იმყოფინოს. ღარიბი და მდიდარი ერთურთისაგან არ გაირჩევა,—ყველა ერთნაირად სცხოვრობს.

ხალხი მეტად პირ-მოთნე და ცბიზილბაშურის ხასიათისაა, ე. ი. პირში ტკბილად და თავაზიანად მოექცევა კაცს, ზურგს უკან-კი დასცინის და ჰკილავს, ლაპარაკი დინჯი და დაფიქრებული აქვს. თავის ინტერესებისათვის ენა ტკბილია და მომხიბლავის კილოთი საუბრობს. ერთმანეთის დაბეზღება, ამბის მიტან-მოტანა ერთიდგან მეორესთან ხშირია. ჭორიკანაობა, მცირედი საქმის გაზვიადება, ტყუილების ლაპარაკი, ცილის წამება, იშვიათი არ არის. ქვეშ-ქვეშობას, გულ-ჩათხრობილობას, შურის-ძიებას და გველა-ძუობას ხალხში ფესვი გადგმული აქვს, მაგრამ სამწუხარო უფრო ის არის, რომ ხალხში უფრო ცუდი ხასიათი ეგრედწოდებული „ვირ-ეშმაკობაა“, ე. ი. კაცს უნდა ოსტატურ—ეშმაკურად რაიმე საქმე ისე გაარიგოს, რომ მოპირისპირემ, ან სხვა ვინმემ ვერ შეუტყოს, მაგრამ ამასთანავე იმოდენად განუვითარებული აქვს აზრი და გონება, რომ ოსტატურად მოხერხებულს საქმეს თვითონვე გაგრძნობინებს ლაპარაკში. პირველი და შესამჩნევი ხასიათის სიკეთე ხალხისა ის არის, რომ ერთმანეთში ჩხუბის დროს უშვერის და ცუდის სიტყვების ხმარება არ იცის, „ქუფური“ (გინება) აქაურს კაცს საზიზღარ საქმედ მიაჩნია. სასიამოვნო ის არის, რომ სოფელში ერთიერთმანეთის მოჩხუბარმგინებლებს სახალხოდ არცხვენენ, უშლიან: „ქრისტიან კაცისგან „ქუფური“ სიტყვის ამოსვლა ცოდვაა და ღვთის საწყენიო“. ქურდობა—ავაზაკობას აქ ვერ შეხვდებით და, თუ მცირეოდენი რამე დაიკარგა, ხელად შეიყრებიან, ქურდს დაუწყებენ ძებნას და, თუ იპოვნეს, ვაი იმის დღეს... ლოთობა და ლაზღანდარობაც საკიცხავია აქეთ, ესე იგი ეჯავრებათ ამ ნაირი ყოფა-ქცევის კაცები, თუ სადმე არიან.

მამა-კაცების ჩოხები და შარვლები იკერება აქაურ შალებისაგან, რომლებსაც თვითონვე ჰქსოვენ, მერე ლურჯად ჰღებავენ და შინვე ჰკერავენ. ჩოხები მოკლე, ხშირ-ნაოჭიანი იციან, სამასრეებსაც უკეთებენ, მაგრამ მასრებს-კი იშვიათად ატარებენ. შარვალი მომეტებულებმა უფრო თათრული და ვიწრო ტოტებიანი იციან. ჩოხის ქვეშ შინვე შეკერილი ლურჯი სამოსელის ახალუხს იცმენ. ახალუხი მოკლე და ხშირ-ნაოჭიანივეა. თავზედ ახვევიათ დღემდე უფრო „საჩული“ (ჩალმა), რომელიც შესდგება წითელ ფერისაგან და ორისამ არშინ ფოთლიანი ღვინის ფერ ჩითისაგან (ეს „სარული“ ორ მანეთამდე ჯდება). მათის აზრით, ამ სარულებს იმიტომ იხვევენ თავზედ, რომ, რადგან თათრებში სცხოვრობენ, თათრები პატივისცემით და მეგობრულად ეკიდებოდნენ. ამასთანავე ამ ქრისტიანების მიერ „სარულის“ მოხვევას თავისი ისტორიული და პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონია და დღესაც აქვს. როდესაც ეს მხარე თათარს ეკუთნოდა, ქრისტიანებს თათრები ძრიელ სდევნიდნენ და სადაც თათრის ყაჩაღები ქართველს დაინახავდნენ, სცარცვავდნენ და ჰკლავდნენ კიდეც. აი, რომ ვერ ეცნოთ ქრისტიანი, ამიტომაც იხვევდნენ სარულებს. დღემდე ეს ჩვეულება დარჩენილია აქეთ და დღეს-კი ნელ-ნელა ისპობა. უეჭველია ამ ცოტა ხანში სრულიად აღარავის ეხურება.

ქალების ტანთსაცმელი ერთიან შესდგება წითელი—დიდრონ ფოთლიან ჩითეულობისაგან და უფრო წააგავს თათრის ქალების ტანისამოსს, ვიდრე ქართველისას. წითელი კაბა, წითელი შილის საცვლები, მეტად განიერი და გრძელი, ლურჯი სამოსელის ფეშტამალი, ქალამნები ფეხთსაცმელად, გრძელი, სადა ჩიქილა თავზედ, ხუთ-ექვს რიგად შემორტყმული, მატყლის ძაფისაგან (ფერად-ფერადათ შეღებულ) მოქსოვილი „ბაღები“ (სარტყელი) წელზედ, აჭრელებულს სურათს წარმოუდგენს მხილველს. თათრის დედაკაცისაგან არ გაირჩევა აქაური ქართველი ქალი; ანკი რა ქნან, რომ ასე არ ჩაიცვან და დაიხურონ, როდესაც სხვანაირად ტანისამოსის დაჭრა-კერვა, გამოყენება და მოხმარება არ იციან.

(შემდეგი იქნება)

— მერე რას ჰშვრებიო? ჰკითხა მეგობარმა, რომელსაც ამითი იმისი თქმა უნდოდა, რითი სწამლობთ სურდოსაო. მაგრამ სურდოთი ავადმყოფი ვერ მიუხვდა აზრს და გულ-უბრყვილოდ უპასუხა.

— რას უნდა ვშვრებოდე, ცხვირს მაცემინებს და ჩქარ-ჩქარა ვიხოცავო.

## გამოსადეგი ცნობა

—

უბრალო საშუალება ყინვისაგან დაძრული სხეულის 'გამოსაბრუნებლად. ამისთანა შემთხვევაში ჰხმარობენ წაბლის ნადუღს. წაბლი უნდა მოხარშოთ და ამ ნახარშის წვენით დაუზილოთ დამრული ადგილები, მეტადრე თუ სახე აქვს დამრული. ეს საშუალება დამრულსაც გამოაბრუნებს და ლაქებსაც გადუყვანს, ამ დამვრისა გამო დარჩენილს.

გარდა ამისა დაძრულის საშველად კარგია კიდევ სტაფილო. სტაფილო უნდა დაფხიკოთ, ეს ნაფხეკი დაადოთ იმ ადგილს, რომელიც დამრული აქვს და შეუხვიოთ ნახმარი ტილოთი.

# დეპეშა

27 იანვარი

**პეტერბურგი.** ნავთის მწარმოებელთა თათბირი დღეს დაიწყო ნავთის საზღვარ-გარეთ გატანის საქმეში საზოგადო კავშირის მიერ პირობათა დასადგენად.

**ბერლინი.** ბევრმა დეპუტატმა, დეპეშები მიიღეს თავისს ამომრჩეველთაგან, მოსაწონია რუსეთ-გერმანიას შორის დასადები სადამოჟნო გარდასახადიო; აგრარნი დიდნი წინააღმდეგნი არიან ხელ-შეკრულობისა, რომელიც, ამისდა მიუხედავად, უეჭველია დამტკიცებულ იქნება; თუ მოლოდინის წინააღმდეგ, ხელ-შეკრულობა მიღებულ არ იქმნა, საფიქრებელია, რომ რეიხსტაგი დაუყოვნებლად დათხოვნილ იქმნეს.

**სოფია.** პრინც ფერდინანდის მეუღლე მძიმე ავადმყოფია. სასახლეში მინისტრები არიან მიწვეულნი.

28 იანვარი

**ბერლინი.** რუს-გერმანთა ვაჭრობის ხელშეკრულობა გუშინ საგარეო სამინისტროსაგან ხელ-მოწერილ იქმნა. შაბათს წესისამებრ ხელს მოაწერს კანცლერი და ბარონი ტილმანი გერმანიის მხრით და გრაფი შუვალოვი და უფროსი დელეგატი რუსეთისა ტიმირიაზევი. მას მერმედ ხელშეკრულობა წარედგინება საკავშირო საბჭოში და გამოცხადდება.

**პარიჟი.** ანარქისტი ვილისსე, რომელმაც ხალხს რევოლვერი ესროლა ფრანგ-რუსთა დღესასწაულობის დროს, დასაჯეს ციხეში ჩასმით ხუთის წლით.

**ბომბეი.** ლეოლში მაჰმადიანები და ინდოელნი ერთმანეთს აეშალნენ სარწმუნოების გამო. რაოდენიმე ინდოთა ტაძარნი და მაჰმადიანთა მეჩითები დაინგრა. ზარალი ბევრია. წესიერება აღდგენილ იქმნა ჯარის შემწეობით.

## პეტერბურგის ბირჟა, 25 იანვარი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | $7,_{42}$ | $7,_{45}$ | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 148 | 147 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — , | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — ,, | — ,, | 241 |
| —მეორისა . . . . | | — ,, | $225^1/_4$ |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | 190 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკის 6%. | — ,, | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |

## „ივერიის“ ფოსტა

—

**ხ—ას. მ. ვ. მ—ს.** სამწუხაროდ, თქვენი უკანასკნელი წერილი ვერ დაიბეჭდება, ისე როგორც ვერ დაიბეჭდა წერილი ბ-ნ ე. მ—სა, თუმცა აწყობილი გვქონდა და მზად იყო. ვერ დაიბეჭდა აგრეთვე კორესპონდენცია ბათუმიდამ ნ. პ—ისა იმ საგნის შესახებ, რომელსაც თქვენც განმარტავთ თქვენ ვრცელს წერილში.

**ოდესსა. ს. ძ—ლს.** სტოქტონის მოთხრობის თარგმანი უკვე გვაქვს რედაქციაში მიღებული იმისაგანვე, ვინც პირველი ნაწილი მოთხრობისა გადათარგმნა.

## რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი № 2 9 ს. 30 წ. დილ. და № 4 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის № 1 9 ს. 52 წ. საღ. და № 3 12 ს. 25 წ დღ.

ტფილისიდგან ბაქოს № 3 მიდის 1 ს. 20 წ. დღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის 5 ს. 50 წ. საღ.

### ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის 9 ს. 20 მ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მოდის 1 ს. 30 წ. დღის.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

ბათუმიდამ გადის:

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 12 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში და კერჩში.

ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ და შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: შორის გზით 2 ს. შუად. შეივლის ყველა ნავთსადგურში.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დილით სწორე-გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ და ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საღ. შორის გზით, შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

—

# განცხადებანი


დაიბეჭდა და ისყიდება

НОРМАЛЬНОЕ ПИСЬМО

იაკობ გოგებაშვილისა

ფ ა ს ი ე რ თ ი ა ბ ა ზ ი.

საწყობი წერა-კითხვის მაღაზიაში. ვინც დაიბარებს ნაღდს ფულზედ ოცს ცალსა, წიგნი დაეთმობა 16 კაპეიკად, ვინც ორმოცსა—15 კაპ.

(3—3)



„წერა-კითხვის საზოგადოების“

## წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . . | „ | 5 |
| ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა. . . . . | „ | 20 |
| სიბრძნე-სიცრუის წიგნი ს. ორბელიანისა. . . | „ | 50 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა ალ. ორბელიანისა . | „ | 40 |
| გმირისეულის ქალი, მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა . . . . . | „ | 20 |
| მეველე, მისივე. . . . | „ | 10 |
| თავადი იერონიმე, მისივე. | „ | 10 |
| მთიული სოსე, მისივე . . | „ | 10 |
| ქრისტინე, ე. ნინოშვილისა . . . . . . . . | „ | 20 |
| რავდენიმე მოთხრობა მისივე. . . . . . . | „ | 50 |
| ოტელო, დრამა შექსპირისა, თარგ. ი. მაჩაბელისა. . . . . . . | „ | 50 |
| ქართული გრამატიკაჲ. ჟორდანიასი . . . . | „ | 55 |
| ლექსები გრ. ორბელიანისა | „ | 50 |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 20 |
| თხზლებანი ი. დავითაშვილისა . . . . . | „ | 80 |
| სურამის ციხე, მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . . . | „ | 10 |


# „ИВЕРИА“

ამ 1894 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 თვით . . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია'' მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію ,,ИВЕРІА''.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცახადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

### ფასი განცხადების დასაბეჭდად

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან $7^1/_2$ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.


,,ნევის პაპრიზები“ დუხები—„ნევის კაპრიზი“ ოდეკოლონი—„ნევის კაპრიზი“ საპონი—„ნევის კაპრიზი“

„მიუსკ“ დუხები | ახალი ამბავი ს.-პეტერბურგის | „მიუსკ“ საპ. ფ ოდეკ.

СПЕТЕРБУРГСКАЯ ТЕХНО-ХИМИЧЕСКАЯ ЛАБОРАТОРІЯ ФАБР. МАРКА УТВЕРЖД. ПРАВИТЕЛЬСТВ.

სატეხნიკო და სახიმიო ლაბორატორიისა.

„კაპრიზ ნევის“ გასაკეთებელს იარაღს მრავალი კარგი ღირსება აქვს და დამზადებულია ქ. ჩიკაგოს გამოფენისათვის.

საწყობები: С.-ПЕТЕРБУРГЪ, площадь Александринскаго театра, 9.

Москва, Никольская, д. Шереметьева.

Варшава, Новый Свѣтъ, 37, და საუკეთესო რუსეთის მაღაზიებში

(50—26)



მ ი ი ღ ე ბ ა ხ ე ლ ი ს მ ო წ ე რ ა

1894 წლისათვის

ყოველ თვიურ ქართულ ჟურნალ

„მ ო ა მ ბ ე“-ზედ

| | 1 წლით | 6 თვით | 3 თვით |
|---|---|---|---|
| ფასი გაგზავნით კავკასიისა და რუსეთის ქალაქებში . . . . . . . . . . | 10 მან. | 6 მ. | 4 მ. |
| საზღვარ გარეთ . . . . . . . . . . | 13 მან. | 7 მ. | 5 მ. |

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანოს: 1 იანვრამდე 4 მან., 1 მაისამდე 3 მან. და 1 სექტემბრამდე—3 მან.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალ „მოამბის“ რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე № 13.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, редакція „Моамбе“.

რედაქტორი ალექსანდრე ჭყონია

გამომცემელი ნიკოლოზ ღოღობერიძე





ახლად მოგონილი მაშინა ,,სლავა“ (დიდება), რომელიც უბრალ საწვავ ნავთით მოჰყავთ მოძრაობაში.

ტ უ რ ბ ი ნ ე ბ ი

წყალის ამოსაყვანად, ჩარხს გაცილებით სჯობია და 2-დგან 200-მდე ცხენის ძალა აქვს.

В. Б. Жуковскій С.-Петербургъ 10, рота, 16.